ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №8

16.02.2018 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, თარაშ შურღაია, ლევან ჯაფარიძე, ლევან ჟორჟოლიანი, ლევან ხაბეიშვილი, ელენე ოზაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **ვახტანგ შაქარაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **გიორგი ჩაკვეტაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **თინათინ ნიბლოშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
5. **ლილე ლიპარტელიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
6. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
7. **ქეთევან მამულაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
8. **ნიკოლოზ ვაჩეიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
9. **თევდორე ისაკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
10. **შალვა ოგბაიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
11. **ილია ჯიშკარიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
12. **მიხეილ ამაშუკელი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
13. **მარინა დათუკიშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **სერგო ბირკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი;
3. **საბა ფიფია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
4. **მამუკა მუმლაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი;

5. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი;
6. **ლევან მიქაია** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
7. **თეიმურაზ ბოლოთაშვილი** - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი;
8. **ეკა ცეცხლაძე** - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი;
9. **გვანცა ნიკოლაიშვილი** - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი;
10. **თამარ კაციტაძე** - სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელი.

სხდომის გახსნამდე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ ბ-ნმა ლევან ჟორჟოლიანმა დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა და აცნობა, რომ მიმდინარე სხდომა წარიმართება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) იურიდიულ საკითხთა, გარემოს დაცვის, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის, სატრანსპორტო, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

ბ-ნი ლევან ჟორჟოლიანის სიტყვით გამოსვლის შემდეგ, გარემოს დაცვის კომისიის სხდომას წარუძღვა (**თავმჯდომარეობდა**): ერეკლე კუხიანიძე (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბატონი ერეკლე კუხიანიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქის“ დაფუძნების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 12 თებერვლის №12-03180436-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი:** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური/

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 13 თებერვლის №12-0318044120-03 წერილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარმოდგენილი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტების თაობაზე

   გ) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე - ოქმს ერთვის

   /მომხსენებელი: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური/

   დ) „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის თაობაზე - ოქმს ერთვის

   /მომხსენებელი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური/

3. **მიმდინარე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2015 წლის 15 თებერვლის №12-031804646-03 წერილი) - ოქმს ერთვის

   /მომხსენებელი: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქის“ დაფუძნების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 12 თებერვლის №12-03180436-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. გიგაშვილმა.

მომხსენებლის (გ. გიგაშვილის) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, 2018 წლის 31 იანვარს მიღებული იქნა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქის" დაფუძნების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან თანხმობის მიღების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის №04.32.125 განკარგულება. აღნიშნული განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქის" წესდების პროექტი, რომლის საფუძველზეც, საკრებულოს მიერ თანხმობის გაცემის შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნდება შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მწვანე ქალაქი" და მისი საქმიანობის საგნად განისაზღვრება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებული გამწვანებული ტერიტორიების, დასასვენებელი ადგილების, შადრევნების მოვლა-პატრონობა და მასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები.

მომხსენებლისა (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახური) და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსის ბ-ნი ს. ბირკაძის დამატებითი ინფორმაციის (წინადადების) თანახმად, საჭიროა ცვლილების შეტანა იურიდიული პირის სარეგისტრაციო მონაცემებში (კომპანიის დასახელება, იურიდიული მისამართი) და სამართლებრივი აქტის პროექტის შესაბამის ჩანაწერებში, რადგან აღნიშნული სახელწოდებით უკვე დარეგისტრირებულია სხვა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. შესაბამისად, ნაცვლად შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მწვანე ქალაქი", იურიდიული პირის სახელწოდებად მიეთითოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ეკოსერვის ჯგუფი", ხოლო კომპანიის იურიდიულ მისამართად განისაზღვროს ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. 8.

მომხსენებლების მიერ მიწოდებული ინფორმაციის შემდეგ, სხდომა გაგრძელდა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

შეკითხვები დასვა:

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა (კომისიის წევრი) - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში შენატანის სავარაუდო ოდენობის, ასევე, კაპიტალის განსაზღვრის თაობაზე ჩატარებული კვლევების (ასეთის არსებობის შემთხვევაში), აღნიშნული კომპანიისათვის გადასაცემი ტექნიკურ-მატერიალური ბაზისა და ადამიანური რესურსის (საშტატო ერთეულების რაოდენობის) შესახებ.

ბ-ნი ლ. ხაბეიშვილის შეკითხვებს უპასუხეს ბ-ნმა გ. გიგაშვილმა, ბ-ნმა ს. ბირკაძემ და ბ-მა გ. თალაკვაძემ.

ბ-ნი გიგა გიგაშვილის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი) განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სავარაუდო კაპიტალის განსაზღვრისთვის კვლევის ჩატარების საჭიროება არ დამდგარა დღის წესრიგში, რადგან მისი ოდენობა განისაზღვრა მსგავსი სამუშაოების განხორციელების თაობაზე წინა წლებში გამოცხადებული და ჩატარებული ტენდერების მიხედვით. გარდა ამისა, ყველა ხარჯი, მათ შორის ტექნიკური ბაზისა და საშტატო ერთეულების ჩათვლით, დაანგარიშებულია. ხოლო კომპანიის ფინანსური უზრუნველყოფა (კაპიტალში შენატანი) განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესაბამისი მუხლებიდან კომპანიის მიერ გაწეული საქმიანობის/მომსახურების შესაბამისად. კერძოდ, ბ-ნი გ. გიგაშვილის განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას მისთვის განსაზღვრული ფუნქციების განსახორციელებლად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესაბამისი პროგრამების (კოდი 03 01) ასიგნებებიდან გადაეცემა სკვერების მოვლა-პატრონობისთვის (მოწყობისთვის) გამოყოფილი 4 000 000 (ოთხი მილიონი) ლარამდე, ასევე, სასმელი სოკოებისა და შადრევნების მოვლა-პატრონობისთვის გამოყოფილი 500 000 (ხუთასი ათასი) ლარამდე დაფინანსება. გარდა ამისა, აღნიშნული კომპანიის დაქვემდებარებაში გადავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 10 თებერვლის №06.17.129 განკარგულებით შპს „თბილსერვის ჯგუფისთვის" გადაცემული 10 გამწვანებული ტერიტორია (ბაღები/პარკები) შესაბამისი დაფინანსებით, რომლის ოდენობაც შეადგენს 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარს. აგრეთვე, კომპანიას, განსახორციელებელი სამუშაოებისთვის, გადაეცემა შპს „თბილსერვის ჯგუფის" მფლობელობაში არსებული ტექნიკა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ტექნიკური ბაზა არ არის საკმარისი და სამომავლოდ საჭიროებს განახლებას/შევსებას, პირველ ეტაპზე, შესაბამისი სამუშაოების განხორციელების უზრუნველსაყოფად ტექნიკა მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

ბ-ნი ს. ბირკაძის (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი) განმარტებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ოფიციალურად დარეგისტრირების შემდეგ საბოლოოდ განისაზღვრება კომპანიის საკადრო პოლიტიკა. სავარაუდოდ, იგეგმება შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის 200-230 სპეციალისტის დასაქმება. თანამშრომელთა რაოდენობა დადგინდება (შემცირდება ან გაიზრდება) კომპანიის მიერ მისი ფუნქციების განხორციელების პროცესში.

ბ-ნმა გ. თალაკვაძემ (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი) დააზუსტა ის საბიუჯეტო მუხლები და პროცედურები, რომლის მიხედვითაც განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალში შენატანი.

დაზუსტების მიზნით შეკითხვები დასვეს:

ბ-ნმა ლ. ხაბეიშვილმა (კომისიის წევრი) - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისთვის გადასაცემი ტექნიკური ბაზის, ასევე ადამიანური რესურსის თაობაზე. კერძოდ, აღნიშნული ტექნიკური ბაზა საკმარისია თუ არა კომპანიის მიერ, დედაქალაქის მასშტაბით შესაბამისი სამუშაოების განხორციელებისთვის და იგეგმება თუ არა შესაბამისი სამსახურებიდან და კომპანიებიდან სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტების დასაქმება მუნიციპალურ საწარმოში.

ქ-ნმა ლ. ლიპარტელიანმა (საკრებულოს წევრი) - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების დაფინანსების წყაროს თაობაზე.

ბ-ნი ლ. ხაბეიშვილის დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცა ბ-მა გ. გიგაშვილმა, რომლის განმარტებით, ამ ეტაპზე, არსებული ტენიკური ბაზა არ არის საკმარისი, რათა დედაქალაქის მასშტაბით, სრული მოცულობით განხორციელდეს სათანადო სამუშაოები. თუმცა, საწყის ეტაპზე, დამაკმაყოფილებელია აუცილებელი და გადაუდებელი სამუშაოების ჩასატარებლად. ხოლო სამომავლოდ, იგეგმება ტექნიკური ბაზის განახლება. საკადრო ცვლილებებთან დაკავშირებით, მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იგეგმება შპს „თბილსერვის ჯგუფიდან" და საქალაქო სამსახურიდან იმ კვალიფიციური სპეციალისტების გადაყვანა კომპანიაში, რომლებიც დაკავებულ პოზიციებზე დღემდე მსგავს სამუშაოებს ასრულებენ. ასევე, იგეგმება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკური პერსონალის დასაქმება ხელშეკრულების საფუძველზე.

ქ-ნი ლ. ლიპარტელიანის მიერ დასმულ შეკითხვას უპასუხა ბ-ნმა გ. თალაკვაძემ, რომლის განმარტებით, მუნიციპალური კომპანიის დაფუძნებისა და მის მიერ განხორციელებული სამუშაოების შესრულების შემდეგ, შესაბამისი საბიუჯეტო ასიგნებების ფარგლებში და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით, განხორციელდება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების კაპიტალის შევსება.

კითხვა-პასუხის დასრულების შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

1. **ცნობად იქნას მიღებული და მიზანშეწონილად ჩაითვალოს**, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქის" დაფუძნების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის რედაქტირება მომხსენებლების (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლების) წინადადების შესაბამისად.

2. დადებითად შეაფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 12 თებერვლის **№12-03180436-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული

პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქის“ დაფუძნების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. **ცნობად იქნას მიღებული და მიზანშეწონილად ჩაითვალოს**, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქის“ დაფუძნების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის რედაქტირება მომხსენებლების (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის წარმომადგენლების) წინადადების შესაბამისად.
2. **დადებითად შეაფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული,** ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 12 თებერვლის **№12-03180436-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების „მწვანე ქალაქის“ დაფუძნების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 13 თებერვლის №12-0318044120-03 წერილის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით წარმოდგენილი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (დადგენილებების) პროექტების თაობაზე

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 13 თებერვლის №12-0318044120-03 წერილის „გ“

ქვეპუნქტით წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოადგინა ქ-ნმა გ. ნიკოლაიშვილმა.

მომხსენებლის (გ. ნიკოლაიშვილის) განმარტებით, ჯანსაღი გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, დედაქალაქის არსებული ურბანული განვითარება საჭიროებს განაშენიანების რეგულირების ახალი პრინციპების დადგენას, ურბანული დაგეგმარების პროცესში სატრანსპორტო და გამწვანების საკითხების ინტეგრაციას, გამწვანებისა და სარეკრეაციო სივრცეების ზრდას, განაშენიანების პროცესში სატრანსპორტო პოლიტიკის გათვალისწინებას, ასევე, ქალაქგეგმარებითი კვლევის პროცესისა და ადმინისტრაციული წარმოების წესის სრულყოფას, რის გამოც, აუცილებელია ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავებაში თბილისის მერიის სხვადასხვა დარგობრივი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობა, რომლებიც ქალაქის განვითარების ხედვაში სპეციალიზებული და სავალდებულო დასკვნებით მიიღებენ მონაწილეობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ცვლილების მიზანია, ზემოაღნიშნული პრინციპების განაშენიანების რეგულირების წესებში ნორმატიული რეგულირების ასახვა. განსახორციელებელი ცვლილებები, გამწვანების მიმართულებით მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ურბანული განვითარების პროცესში ტერიტორიის გამწვანების უზრუნველყოფა - ქალაქთმშენებლობითი განვითარების პრიორიტეტი და წინაპირობა საინჟინრო და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან ერთად, ასევე, ხდება მწვანე ინფრასტრუქტურა.

- განაშენიანების რეგულირების გეგმით წარმოდგენილ ურბანულ გადაწყვეტაში ეკოლოგიური საჭიროების გათვალისწინება - მწვანე ნარგავებით გასაშენებელი ტერიტორიის გამოყოფის ვალდებულებაა.

გაუნაშენიანებელ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამუშავებისას, საპროექტო ტერიტორიის მინიმუმ 20% მწვანე ნარგავების გასაშენებლად უნდა იყოს გათვალისწინებული. რაც შეეხება განაშენიანებულ ტერიტორიას, ამგვარ ტერიტორიაზე განაშენიანების რეგულირების გეგმით მწვანე ნარგავების გაშენების გათვალისწინება დამოკიდებული იქნება საპროექტო კვლევაზე. წინასაპროექტო კვლევა განაშენიანების რეგულირების გეგმის პირველი ეტაპის - გეგმარებითი დავალების შემუშავებისთვის აუცილებელი დოკუმენტია და გეგმარებითი გადაწყვეტისათვის ყველა აუცილებელ საკვლევ მონაცემს მოიცავს, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებებით, სავალდებულო ხდება ამგვარ კვლევაში მწვანე ნარგავების დეტალური აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების ასახვა.

ამასთანავე, გეგმარებითი დავალების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის თემატური ნაწილი ასევე უნდა მოიცავდეს სარეკრეაციო ტერიტორიების სისტემას - გამწვანების პროექტის ჩათვლით.

გარემოსდაცვითი საკითხების გათვალისწინებით განხორციელდება ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტების შემუშავება. განაშენიანების რეგულირების გეგმისა და ფუნქციური ზონების ცვლილების/დაზუსტების მიზნით მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაში ცვლილების შეტანის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების პროცესში გათვალისწინებულია სავალდებულო სამსახურად გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის ჩართვა, რომლის დარგობრივი დასკვნის გათვალისწინება ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულისთვის სავალდებულო ხდება.

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის წევრების (ბ-ნი გ. ტყემალაძე, ბ-ნი ლ. ჟორჟოლიანი) მიერ გამოითქვა შემდეგი შენიშვნები და წინადადებები:

1. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის შემდეგ ჩანაწერში საჭიროა ტექნიკური შეცდომის გასწორება და ნაცვლად:

„5. მე-18 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,8. შესაბამისი ფუნქციური ზონით დადგენილი *კ-1 და კ-2* კოეფიციენტის მაჩვენებლის გადამეტების შემთხვევაში, ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის დასკვნის საფუძველზე, თბილისის მერის გადაწყვეტილებით ცენტრალურ, შუალედურ ზონებში და გეგმარებით კარკასზე შესაძლებელია შესაბამისი მაკომპენსირებელი ღონისძიების (მათ შორის შენობა-ნაგებობის ენერგოეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებული ღონისძიებები) განსაზღვრა.“.

ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,8. შესაბამისი ფუნქციური ზონით დადგენილი კ-1 *ან/და* კ-2 კოეფიციენტის მაჩვენებლის გადამეტების შემთხვევაში, ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილი თბილისის მერიის სტრუქტურული ერთეულის დასკვნის საფუძველზე, თბილისის მერის გადაწყვეტილებით ცენტრალურ, შუალედურ ზონებში და გეგმარებით კარკასზე შესაძლებელია შესაბამისი მაკომპენსირებელი ღონისძიების (მათ შორის შენობა-ნაგებობის ენერგოეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებული ღონისძიებები) განსაზღვრა.“.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული მოქმედი წესის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში სპეციალური (ზონალური) შეთანხმების მიღების თაობაზე განცხადება უნდა წარედგინოს

ურბანულ განვითარებაზე უფლებამოსილ თბილისის მერიის სტრუქტურულ ერთეულს.“

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

დადებითად შეაფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 13 თებერვლის **№12-0318044120-03** წერილის „გ“ პუნქტით წარმოდგენილი **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის** საკრებულოს **დადგენილების** პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. დადებითად შეაფასდეს და მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 13 თებერვლის **№12-0318044120-03** წერილის „გ“ პუნქტით წარმოდგენილი **„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის** საკრებულოს **დადგენილების** პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

სხდომის დღის წესრიგის მეორე საკითხი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2018 წლის 13 თებერვლის **№12-0318044120-03** წერილის „დ“ ქვეპუნქტით წარმოდგენილი „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი წარმოადგინა ბ-ნმა გიგა გიგაშვილმა.

მომხსენებლის (გ. გიგაშვილი) განმარტებით, წარმოდგენილი ცვლილებების მიზანია ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესში როგორც ტექნიკური, ასევე შინაარსობრივი ცვლილებების შეტანა. თვისობრივად იცვლება სპეციალური ჭრის კონცეფცია და გაწერილია იმ საფუძვლების ჩამონათვალი, რომლის დროსაც დასაშვებია სპეციალური ჭრის განხორციელება. აღნიშნული ცვლილების მიზანია, რაც შეიძლება მაქსიმალურად შეიზღუდოს სპეციალური ჭრები და დასაშვები იყოს მხოლოდ ისეთ საგამონაკლისო შემთხვევებში, როგორიცაა შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელება, გზების, მილსადენების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და რეაბილიტაცია, ასევე ჰიდროკვანძებისა თუ სხვა ხაზობრივი ნაგებობების უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფა. ამასთანავე, ორმაგი და ბუნდოვანი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით, შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოება განიმარტა და დაზუსტდა ის შემთხვევები, რაც შეიძლება ჩაითვალოს შენობა-ნაგებობების ტექნიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული ცვლილებებით სპეციალურ ჭრას დაექვემდებარება სასაფლაოებზე ხეების მოჭრა, თუ კი ის საფრთხეს უქმის საფლავს ან მის დამხმარე ნაგებობას. ეს საკითხი აქამდე არ იყო დარეგულირებული, შესაბამისად, საფლავის მფლობელს არ ჰქონდა რაიმე სამართლებრივი საფუძველი, რომ მოეთხოვა სასაფლაოზე ხის მოჭრა. სპეციალური ჭრის განხორციელებისას, დაინტერესებული პირი არ იხდის რაიმე საფასურს. ამასთანავე, დეტალურად გაიწერა სპეციალური ჭრის ნებართვის მიღების პროცედურა, რომელიც აქამდე არ იყო დარეგულირებული.

ამის გარდა, წარმოდგენილი ცვლილებებით დეტალურადაა დარეგულირებელი ხის გადარგვის წინაპირობები, ამასთანავე პროექტი ითვალისწინებს დეკლარაციულ ჩანაწერს, რომ მწვანე ნარგავების გადარგვას უნდა მიენიჭოს უპირატესობა მწვანე ნარგავების მოჭრასთან მიმართებით.

პროექტი ასევე არეგულირებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრისა და გადარგვის საკითხებს.

შემოთავაზებული ცვლილებებით ასევე დაზუსტდა იმ მწვანე ნარგავების დათვლის წესი, რომელიც შეიძლება დაექვემდებაროს მოჭრას სათანადო წესით გაცემული მშენებლობის ნებართვის არსებობის შემთხვევაში.

გარდა ამისა, წარმოდგენილი ცვლილებები ასევე არეგულირებს მუნიციპალიტეტის ვალდებულებას ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას.

ასევე, წარმოდგენილი ცვლილებებით ფართოვდება იმ ექსპერტთა წრე, რომლებიც უფლებამოსილნი იქნებიან გასცენ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ დასკვნა.

წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის წევრების (ბ-ნი ერეკლე კუხიანიძის, ბ-ნი ლ. ჟორჟოლიანისა და ბ-ნი გ. ტყემალაძის) მიერ გამოითქვა შემდეგი შენიშნვები და წინადადებები:

1. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის შემდეგი ჩანაწერი:

   „2. პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

   „4. ეს წესი არ ვრცელდება „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მწვანე ნარგავების დაცვაზე, მოვლასა და აღდგენაზე.“

საჭიროებს „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის შესახებ“ საქართველოს კანონთან და სხვა საკანონმდებლო აქტებთან შესაბამისობაში მოყვანას და შესაბამისი ფორმულირებით ჩამოყალიბებას.

2. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-5 პუნქტის ჩანაწერით, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილების მე-2 მუხლს უნდა დაემატოს შემდეგი შინაარსის 39-ე და მე-40 პუნქტები:**

„39. მწვანე ნარგავის ნარჩენი - მწვანე ნარგავების დამზადების შედეგად დარჩენილი ქერქი, ნაფოტი, ნახერხი, შეშად გამოუსადეგარი ტოტები.

„40. ძირნაყარი მწვანე ნარგავი - მიწაზე დაყრილი წაქცეული ხმელი ხე, მოთხრილ-მოტეხილი, ქარქცეული, თოვლტეხილი მერქანი. აგრეთვე მოჭრილი მერქანი, რომელზეც ხე-ტყის დამზადების შესაბამისი დოკუმენტი არ არის გაცემული ან გასული აქვს გამოზიდვის ვადა.“

აღნიშნული 39-ე და მე-40 პუქტების ჩანაწერები შინაარსობრივად შეესაბამება მოქმედი წესის (№17-55 დადგენილების) პირველი თავის მე-2 მუხლის მე-15 და მე-20 პუნქტებს, რაც საჭიროებს რედაქტირებასა და შესაბამისი ფორმულირებით ჩამოყალიებას.

3. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-18 პუნქტის ჩანაწერი საჭიროებს ტექნიკურ (პუნქტების რიგითობის) და ტექსტუალურ (სტილისტურ) რედაქტირებას.

4. წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-20 პუნქტი საჭიროებს დაზუსტებას. კერძოდ, განსასაზღვრია საზოგადოებრივი ექსპერტის კვალიფიკაციის, განათლებისა და სამუშაო გამოცდილების საკითხი.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის პირველი მუხლის მე-20 პუნქტის ჩანაწერის თაობაზე **აზრი გამოთქვა:**

ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ, რომელმაც ისაუბრა ჩანაწერში საზოგადოებრივი ექსპერტის ტერმინის თაობაზე და აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი ექსპერტისთვის, განსაკუთრებით კვალიფიკაციის, განათლებისა და სამუშაო გამოცდილების საკითხის განსაზღვრისა და შესაბამის ბაზაში რეგისტრაციის გარეშე, მწვანე ნარგავების ხარისხობრივი მდგომარეობის თაობაზე დასკვნის უფლების მინიჭება მიზანშეუწონელია, რადგან, ტერმინი „საზოგადოებრივი ექსპერტი" ზოგადია და მოიცავს ექსპერტთა ფართო წრეს.

შეკითხვა დასვა:

ბ-ნმა გიორგი ტყემალაძემ - მოქმედი წესის 27[1]-ე მუხლით გათვალისწინებული 5 წლიანი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნის ცვლილების (გაუქმების) გამომწვევი მიზეზის თაობაზე.

დასმულ შეკითხვებს **პასუხი** გასცა ბ-მა გ. გიგაშვილმა, რომლის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ითვალისწინებს საზოგადოებრივი ექსპერტის მონაწილეობასა და მის მიერ შესაბამისი დასკვნის გაცემის საკითხს, შესაბამისად, საქალაქოს სამსახურმა, წესში ცვლილების განხორციელებისას იხელმძღვანელა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ხოლო ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნის სანდოობის ეჭქვეშ დაყენებისას, ასევე, საქართველოს კანონმდებლობით, შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს და/ან დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს ჩაატაროს ალტერნატიული ექსპერტიზა.

ხოლო მოქმედ წესში 5 წლიანი სამუშაო გამოცდილების მოთხოვნის ჩანაწერის შეცვლის (გაუქმების) თაობაზე, ბ-ნმა გ. გიგაშვილმა აღნიშნა, რომ ცვლილების შეტანა გამოიწვია აღნიშნულ სფეროში მოქმედი ექსპერტების სიმცირემ, რაც ხელს უშლის ახალგაზრდა სპეციალისტებს გამოავლინონ საკუთარი ცოდნა და შესაძლებლობები, როგორც ექსპერტებმა. გარდა ამისა, ბ-ნმა გ. გიგაშვილმა ისაუბრა ბაზაში რეგისტრირებული ექსპერტების თაობაზე და აღნიშნა, რომ საქალაქო სამსახურის ბაზაში რეგისტრირებულია მხოლოდ 11 შესაბამისი კვალიფიკაციის, განათლებისა და სამუშაო გამოცდილების ექსპერტი, მაშინ, როდესაც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროს ექსპერტთა ბაზაში რეგისტრაციისთვის მეტი დაინტერესებული სპეციალისტი მიმართავს, საჯარაოდოდ, სამუშაო გამოცდილების მოთხოვნის არარსებობის გამო. რაც შეეხება ბაზაში რეგისტრაციის სავალდებულოობას, ბ-ნი გიგა გიგაშვილის განმარტებით, პრინციპულად მიუღებელია ექსპერტთათვის ბაზაში დარეგისტრირების ვალდებულების დაწესება, რადგან ექსპერტთა შეზღუდული რაოდენობის გამო იზრდება კორუფციული გარიგების რისკი.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა.

სხდომის თავმჯდომარემ ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

დადებითად შეაფსდეს და მიზანშეწონილად იქნას მიიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 13 თებერვლის №12-0318044120-03 წერილის „დ" პუნქტით წარმოდგენილი **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის** საკრებულოს **დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის** საკრებულოს **დადგენილების** პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. დადებითად შეაფსდეს და მიზანშეწონილად იქნას მიიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 13 თებერვლის №12-0318044120-03 წერილის „დ" პუნქტით წარმოდგენილი **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების** პროექტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა კომისიის შენიშვნებისა და წინადადებების გათვალისწინებით.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე (მიმდინარე) საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის 2015 წლის 15 თებერვლის №12-031804646-03 წერილი)

სხდომის დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ე. ცეცხლაძემ.

მომხსენებლის (ე. ცეცხლაძის) განმარტებით, წარმოდგენილი წინადადება ითვალისწინებს ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქუჩა №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.05.029.270, 01.11.05.029.271, 01.11.05.029.222) და მიმდებარედ (10979 კვ.მ.) სამრეწველო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილებას, სამომავლოდ, თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის (მცირე საოჯახო ტიპის სახლების) მშენებლობის მიზნით.

ქალბატონი ე. ცეცხლაძის მიერ წარმოდგენილი დამატებითი ინფორმაციის თანახმად, სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდმა 2017 წლის დეკემბრის თვეში წერილობით მიმართა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს და ითხოვა სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ბალანსზე, სარგებლობის უფლებით რიცხულ ქ. თბილისში, ქერჩის ქუჩა №4-ში მდებარე უძრავ ქონებაზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.05.029.270) არსებული ფუნქციური ზონის ცვლილება, შემდგომში, დეინსტიტუციონალიზაციის სახელმწიფო პოლიტიკის გათვალისწინებით, ფონდის ფილიალ „თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლში" განთავსებული ბენეფიციარებისთვის ჩვილ ბავშვთა სახლის (მცირე საოჯახო ტიპის სახლების) მშენებლობის მიზნით. აღნიშნული მოთხოვნა ფონდის მიერ დაზუსტდა და დამატებით მოთხოვნილი იქნა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ №№01.11.05.029.271, 01.11.05.029.222 საკადასტრო მიწის ნაკვეთებზე ფუნქციური ზონის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (განკარგულება №06.01.156 09.02.2018წ.) მოწონებული იქნა საკითხი და რეკომენდაცია გაეწია ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, ქერჩის ქუჩა №4-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №№01.11.05.029.270, 01.11.05.029.271, 01.11.05.029.222) და მიმდებარედ (10979 კვ.მ.) სამრეწველო ზონა 1-ის საცხოვრებელი ზონა 6-ით ცვლილებას, სამომავლოდ, თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის (მცირე საოჯახო ტიპის სახლების) მშენებლობის მიზნით.

განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის მოსმენის შემდეგ, კომისიის წევრმა ბ-მა გიორგი ტყემალაძემ მოითხოვა დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარდგენა.

მომხსენებელმა (ე. ცეცხლაძე) უზრუნველყო მოთხოვნილი ინფორმაციისა და დამატებითი დოკუმენტაციის სხდომაზე წარდგენა, მათ შორის, ინტერაქტიული რუკის მეშვეობით ნაჩვენები იქნა საკადასტრო ერთეულების კონფიგურაციები და არსებული ფუნქციური ზონების გავრცელების არეალი.

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ სხვა შენიშნები და წინადაებები არ გამოთქმულა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 2

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით

გადაწყვიტეს:

1. მიზანშეწონილად იქნას მიიჩნეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ ა/წლის 15 თებერვლის **№12-031804646-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (სულ: 1 წინადადება) საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა ერეკლე კუხიანიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ერეკლე კუხიანიძე